

1932



საქ. კომუნისტურ პარტიის (ბ) მე-8 ყრილობა

სურათზე: მარცხნივ—ყრილობის პრეზიდიუმი, მარჯვნივ ახს. ლ. ბაკია, მშენებელი ყრილობის დელეგატები





F675

ფიცი ლენინზე

ქუდა ცხდით
შენი ხსოვნის წინაშე,
მასწავლებლო
და წინამძღოლო!
გვახსოვს,
როდესაც
დაიგრგვინე შენ:
დიქტატურისათვის
უნდა ვიბრძოლოთ!
ძალაუფლება
საბჭოთა ხელში!
გავანადგუროთ,
მტერი პიქტში!
ცეცხლი ქალაქში!
ცეცხლი სოფელში!
ასე გრგვინავდი
და როგორც დროშა

ტყვიის ზუზუნში
გვიძლოდი წინა!
ჩვენთან იბრძოდი
ბარაკებზე,
გმირებად გვხდიდა
შენი ყოჩინა!
ჩვენ გავიმარჯვეთ!
ძირფესვიანათ
ავაყირავეთ
ქვეყანა ძველი
და წითელ დროშას
ცეცხლის ხელებით
ზედ წავაწერეთ
შენი სახელი!
ეს სიტყვა,
დღესაც გოლებს
რომ არხევის

და კიდით - კიდე
გრიანებს მწყობრად,
კაპიტალიზმის
ფუძეებს არყევს
და რაზმებს ხალხებს
მის დასამხოლად!
და ჩვენც,
ბელადო,
ვით ერთი კაცი,
ფიცსა ვდებთ
შენებრ მტკიცეს
ნა ურყევს, —
რომ კომპარტიის
მთლიანობისთვის
ვიბრძოლებთ! —
შენს გზას
არ გადაუხვევთ!

ბ. ჭუჩიუვილი.

ქ. ლ. ნ. ნ. - ლ. ნ. ნ. ს. დ. რ. კ. მ.

რვა წლის წინათ 1924 წელს იანვრის 21-ს მოსკოვის ახლოს, თოვლის სავანეში გახვეულ გორკაში, გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინი, უდიდესი ბელოდი მსოფლიო პროლეტარიატის.

ამ სიკვდილით მშრომელ კაცობრიობას მოაკლდა ყველაზე ბრწყინვალე, ნათელი და ისტორიულ პერსპექტივების შორს მჭვრეტელი ბუმბერაზი ადამიანი, რომლის გონება მრავალმილიონიან მშრომელ ხალხს და დაჩაგრულ ერების ნებისყოფის და ისტორიულ მომავლის გამონახულება იყო.

კაცობრიობა ერთი თავით დადაბლდა. მას გამოეცალა უდიდესი შუქურა, ბრწყინვალე მომავლის გზის მაჩვენებელი.

ლენინის გონებამ აკუმულირებდა უყო ყველაფერს იმას, რაც კი დადებითი გააჩნდა კაცობრიობის შეგნებას და მიმართა ის მშრომელი კლასების ინტერესების დაცვისათვის, მათი განთავისუფლებისათვის.

ლენინის სილიადე იმაში გამოიხატებოდა, რომ ის ბელოდი იყო ყველაზე მოწინავე კლასის, რომელსაც პროლეტარიატის წარმოდგენს. მისი სიძლიერე იმაში იყო, რომ ის იყრდნობოდა ყველაზე რევოლუციონურ პროლეტარს—რომელსაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი წარმოადგენს. მისი უძლეველობა მასში გამოიხატება, რომ მას ზურგს უმაგრებდა ისეთი პარტია, რაგორიც არის ბოლშევიკების პარტია.

ამიტომ არის ლენინის საქმე უკვდავი და ამიტომ გაიმარჯვა ლენინის დროშამ.

ლენინის გარდაცვალების რვა წლის თავზე, ლენინის საქმე გამარჯვებულია ისე, როგორც ის არასოდეს არ ყოფილა.

ლენინის პარტიამ, მისმა მშობმა და აღმზრდელმა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, შესძლეს, მის გარდაცვალების რვა წლის შემდეგ, სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აშენების დამთავრება.

ჩვენ შევედით სოციალიზმის პერიოდში. მის დროში ჩვენ შეუძლებელი გახდოდა სოციალისტური საზოგადოების შენებას და 1917 წლისათვის, მიორე ხუთწლიანი დამთავრებისას, ჩვენ საბოლოოდ მოვხვობთ კაპიტალისტურ კლასების ელემენტების ნარჩენებს ჩვენს ქვეყანაში და საზოგადოებრივ კლასებს.

აღსრულებდა ის, რის განხორციელებისათვის იბრძოდნენ წლებისა და საუკუნეების განმავლობაში მასშვარო კლასების საუკეთესო და ბრწყინვალე წარმომადგენლები და მათ შორის ამა. ლენინი.

ყველა ეს გიგანტური მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს ჩვენ მივადრწიებთ მხოლოდ იმით, რომ ვხელმძღვანელობდით ლენინის მოძღვრებით მისი მითითებებით, მის მიერ აღზრდილ და გამოზრდილ პარტიის პოლიტიკის გენერალურ საზით, რომელსაც ცხოვრებაში ატარებდა ამა. ლენინის ღირსი მოწაფე, მისი საქმის გამგრძელებელი, მისი ბოლშევიკური თვისებების ცოცხალი მატარებელი, ამა. კობა ჯუღაშვილი—სტალინი.


ათმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ლენინმა აღიარა, რომ უკან დახევა დამთავრებულია და, რომ საჭიროა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე შეტევის დაწყება.

ეს შეტევა ეხლა ბრწყინვალე არის დამთავრებული. შეტევა, რომელიც მიმდინარეობდა გაჩაღებულ ბრძოლაში. ჩვენ განადადურეთ კლასიური მტერი, მილიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ეს არის ყველაზე მჭრელი ლახვარი, რომლითაც ჩვენ ვანადგურებთ კაპიტალისტურ კლასების უკანასკნელ წარმომადგენლებს ჩვენს ქვეყანაში, კულაკობას.

ლენინის პარტიამ შესძლო მის მთავარი ანდერძის შესრულება,—მშრომელ გლეხობასთან სწორი დამოკიდებულების და მსხვილი ინდუსტრიის განვითარება.

პარტიას მოუხდა ორივე ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის სასტიკი ბრძოლის წარ-

მოება, ტროცკისტულ ბურჟუაზიულ-რესტავრატორულ თეორიასთან, რომელსაც არ სწამდა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ერთ ქვეყანაში, ტროცკიზმის, რომელიც ეხლა კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიის მოწინავე რაშმა გადაიქცა და მემარჯვენე ოპორტუნისტებთან, რომელიც კულაკობის ზრახვებისა და ინტერესების გამომხატველები იყვნენ.



ინგლისის გემის მეზღვაური კითხულობს ლენინის ბიოგრაფიას

ლენინი არა მარტო უდიდესი პრაქტიკოსი იყო, არამედ ის უდიდესი ფილოსოფოსი, უდიდესი თეორეტიკოსი იყო.

ლენინი მცხოვრე გამომსახველი იყო მარქსისტული თეორიის სიწმინდისა და ამ მოძღვრების გამგრძელებელი. ლენინი შეუ-

პოვრთ იბრძოდა მარქსიზმის ყველაფერ ოპორტუნისტულ დამახინჯების წინააღმდეგ. ლენინისთვის არ ურჩევდნენ პრაქტიკის თეორეტიკული კომპრომისი, ლენინი გაშმაგებით ებრძოდა ყველაფერს, რამაც ლენინის კლასიური მტერის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამს. სტალინი, ლენინის ამ სიციხველის გამოხსნველია, როდესაც ის იბრძვის მარქსისტულ - ლენინურ მსოფლმხედველობის სიწმინდისათვის კონტრ - რევოლუციონურ ტროცკიზმთან ბრძოლაში დამაბლ ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

ლენინის უშუალო ანდერძის საფუძველზე, ამს. სტალინის ხელმძღვანელობით, პარტიამ დიდმკრობულური შოვინიზმის და ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიაღწია უდიდეს წარმატებებს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერების ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსი კულტურის განვითარებაში.

წინად დაჩაგრული ერების კულტურა არაჩვეულებრივად აყვავდა და გაიფურჩქნა.

მეცნიერების და ხელოვნების დარგში, ლენინის მოძღვრების საფუძველზე, ჩვენ ერთ მწერვლებიდან მეორე მწერვალს ვიპყრობთ.

მარქსიზმ - ლენინიზმი იჭრება კაცობრიობის ცოდნის ყველა დარგში.

იშლება ბრძოლა ლენინურ საზისათვის ფილოსოფიაში, ბუნება-მეტყველებაში, ეკონომიურ მოძღვრებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურის-მეტყველებაში.


ლენინის დიდი იდეები იპყრობენ ხელოვნებას. ჩვენ ვიბრძვით ლენინის - ბოლშევიზმის დიდი ხელოვნებისათვის, რომლის განსახიერებას „ლიტერატურული მაგნიტისტროები“ უნდა წარმოადგენდეს.

თეატრში, კინოში, ერთ პოზიციებს მეორეზე იპყრობს ლენინიზმი.

საბჭოთა კავშირი, წერაკითხვის უცოდინარობის ოკენადან, სწავლულ ქვეყანად იქცევა.

მილიონები ეუფლებიან ცოდნას მეცნიერებას ხელოვნებას, ტექნიკას. მეცნიერება და ხელოვნება შედის ყოფაში. იქნება ყველა წინამძღვრება ფიზიკურ და გონებრივ შრომის უფსკრულის ამოვსებისათვის, მათ შორის ყოველგვარ განსხვავების მოსპობისათვის.

ლენინიზმი იმარჯობს!
ბაშმარჯოს ლენინიზმს!



ლონდონში, შარშან, ქმობის ეკლესიაში მიაკრეს დაფა წარწერით: „ამ შენობაში ლენინის ხელმძღვანელობით 1907 წ. 18 მაისს შედგა რუსეთის სოც.-დემოკრატის მათა პარტიის (ბოლშევიკების) კონგრესი“

კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსემბურგის სსოვნა

(მათი მერაზულათ მოკვლის 13 წლისთავი)

13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების რევოლუციონური მასების უდიდესი ბელადები კ. ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი, მართალია, შეიღებანი და ეკამო. და სოციალ-დემოკრატიის ცენტრ. ორგანო „ფორვერტს“ შეეცადნენ პლატფორმით დაებანათ ხელი ამ მკვლელთაში, მკვლელთა გასაღებთა, როგორც „მასების რისხვის“ შედეგად, მაგრამ ამათ. ისინი ვერ მოიცილებდნენ მკვლელთა სამარცხვინო ლაქას, თავს ვერ დააღწევდნენ პასუხისმგებლობას გერმანიის პროლეტარიატის ამ ბელადების ვერაგულად მკვლელთაობათვის.

ლაბრაკია არა მართო მორალურ პასუხისმგებლობაზე ამ მკვლელთაობისთვის. ვერ კიდევ 1920 წ. უმადრო ბემორიკავს სოციალ-დემოკრატიის ლიდერების ნოსკამ-შეიღებანის აქტიური მონაწილეობა კ. ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის მკვლელთაში. ნოსკამ-შეიღებანმა მოაწვევს, თეთვარდიელმა ოფიცერებმა კი შეასრულეს ეს მკვლელთაობა.

აი რა ჩვენება მისცა სასამართლოს მკვლელთაობის მონაწილე ფუსარმა **ოტტო რუნემე**:

„რაც შეეხება ლიბკნეხტის საქმეს. მე მივიღე ოფიცრების კატეგორიული ბრძანება თათვის კონდახის დარტყვით ადგილზევე მომეკლა ეს არამზუნდა, როგორც კი იგი გამოვიდოდა. მე ახალი ვიყავი და ოფიცრებს სახელებით არ ვიცნობდი, მაგრამ შემდეგ დავინახე, რომ მათი უმრავლესობა იყო იმათგან, რომლებსაც ჩემთან ერთად ბრალს სდებდნენ სასამართლოში. რაც შეეხება ლიუქსემბურგს, ოფიცრები მოდიოდნენ ჩემთან და მელთებოდნენ: მე ვიბრძანებ შენ, რომ ლიუქსემბურგი ცოცხალი არ წვივინასტუმრობოდა“-ო.

გასამართლება რესპუბლიკაში, რომელსაც სათავეში ედგნენ ებერტ-შეიღებანი იყო ცარიელი კომედია.

„მე არა ერთხელ მქონებია საუბარი სამხედრო მოსამართლე იორნსთან, — განაგრძობს რუნემე, — და ის მელთებოდა: „დაშვებდები ყველაფერი მიიღებ თავის თავგან. მოგცემენ სულ რაღაც 4 თვის, სამაგიეროთ შემდეგში თქვენ ყოველთვის გეგნებათ საშუალება გაქირების დროს მოგვამართოთ ჩვენ“-ო.

ლიბკნეხტ-ლიუქსემბურგის არც ერთი კვლეული არ დაუხვდათ. შეიღებანის სამინისტროში მიღებული ყალბი პასპორტებით და გერმანიის რესპუბლიკის სახლიდან მიღებული ფულებით მკვლელთაობის მთავარმა მონაწილეებმა დამწვევებით დასტოვეს ბერლინი და მიმალნენ. მკვლელთაობის სულის ჩამომკვლელთა და ორგანიზატორებმა ნოსკამ-შეიღებანი - ზევერინგ-გარუენისკებმა მოინადნეს მორცხვობის უკანასკნელი ნიღაბი და ახლა მასობურად უდიდეს გერმანიის რევოლუციონერ მუშებს.

* * *

მაგრამ წარმატებით ბრძოლა კაპიტალიზმის და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, პროლეტარული რევოლუციისათვის შეუძლებელია ამ შეცდომების გამოღებ მხოლოდ ბოლო და აღმოფხვრის გარეშე, რომელიც ჰქონდა როზა ლიუქსემბურგის (სწორივე შეცდომები ჰქონდა კარლ ლიბკნეხტსაც), უდიდესი მნიშვნელობა რ. ლიუქსემბურგის შეცდომათა მხოლოდობის ნათლად დაგვანახვა ამს. სტალინმა თავის წერილში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“.

ტროტსკისტული კონტრარაზონისტი სლუცკი ჩქმალავს გერმანიის მემარცხენე ს.დ. და კერძოდ რ. ლიუქსემბურგის მიმართ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს და ბრალს

სდებს რუსეთის ბოლშევიზმს (ლენინს) იმაში, რომ ის ბოლომდე და გადაჭრით აოუჭერდა მხარს გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს.

ამს. სტალინმა თავის წერილში მკაფიოდ განმარტა, თუ რატომ არ შეეძლოთ ლენინს და ბოლშევიზმს პროლეტარული და გადაჭრით დაეჭირათ მხარი გერმანიის მემარცხენე ს.დემოკრატებისათვის. ბოლომდე და გადაჭრით მხარის დაჭერა გერმანიის მემარცხენე ს.დემოკრატებისათვის იმის მარცხენელი იქნებოდა, რომ თითქმის ბოლშევიზმში (და ლენინი) ვერ ხედავდა გერმანიის მემარცხენე მთელ რიგ უხეშ შეცდომებს, თითქმის მთლიანად და გადაჭრით იზიარებდა გერმანიის მემარცხენე ს.დ. თეორიულ-პოლიტიკურ და პრაქტიკულ ხაზს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ბოლშევიზმი არ იქნებოდა ბოლშევიზმი ვინაიდან ბოლშევიზმი წარმოიშვა, გაიზარდა და გაძლიერდა შეურჩებულ ბრძოლაში ყოველი ფურის ოპორტუნისტთან, ყოველგვარ გადახრებთან რევოლუციონური მარქსიზმისაგან. გერმანიის მემარცხენე ს.დ. და კერძოდ როზა ლიუქსემბურგის შეცდომები კი ზნირად ოპორტუნულად წყალს ასხამდა ოპორტუნისტის წისკვილზე.

პროლეტარული რევოლუციის ყველა მტრები (ცდილობდნენ და ცდილობენ გამოეყენებოთ რ. ლიუქსემბურგის შეცდომები თავისი ოპორტუნისტობისა და რენეგატობის გასამართლებლად. ახლა ამ უიმედო საქმეს ხელი მოჰკიდეს ბრანდლერიანელებმა და ტროცკისტებმა.

როგორია ეს შეცდომები?

ჩვენ შევხვებით მხოლოდ მთავარს მათგან. პარტიის წევრობის საკითხში რ. ლიუქსემბურგი მხარს უჭერდა მენშევიკებს, უ. ი. არსებითად მხარს უჭერდა პარტიის გადაქცევა „ნოვს კიღობანა“, კარების გადაებას ყველა მსურველებისათვის, პარტიის გაგვიხას თხელაქანთან ინტელიგენტებით, რომელთაც არც სურდათ და არც უნარი ჰქონდათ რევოლუციონური მეთოდებით ებრძოლათ თვითმწყობილობის წინააღმდეგ (ეს გარემოება არაჩვეულებრივს სიხადით დადასტურა რევოლუციისა და „ლიბერალურ თავისუფლებათა“ დღეებში პარტიისადმი მიტმანხილი ინტელიგენტების მასობრივ გაქცევამ პარტიიდან რეაქციის პირველ დღეებშივე).

1905 წ. რევოლუციისაში გერმანიის მემარცხენეები მენშევიკებთან ერთად გამოდიოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შეფასების საკითხში. მენშევიკებთან ერთად ითაშქრებდნენ პროლეტარიატის კავშირის წინააღმდეგ გლეხობასთან (პროლეტარიატის შეგვემონის პირობით). პროლეტარიატის ხელმძღვანელობით გლეხობის რევოლუციონური როლის უფუფასებლობის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციონური დემოკრატიული როლის უფუფასებლობის ნადავზე წარმოიშვა ლიუქსემბურგ-პარუენის „გერმანენტული რევოლუციის“ თეორია, რომელიც შემდეგში „ტროცკიმ“ (და ნაწილობრივ მარტოვმა) გადააქცია ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად (სტალინი).

ნაციონალურ საკითხში გერმანელი მემარცხენეები, პოლონელი ს.დ. როზა ლიუქსემბურგის მეთაურობით უარყოფდნენ ერთი თვითგამორკვევას თვით გამოყოფამდე, სცნობდნენ მხოლოდ კულტურულ ავტონომიას, (ამავე თვალსაზრისს იცავდა „ავგისტის ბლოკი“ ტროცკის მეთაურობით) რაც ასულტურად კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მერძოდ რევოლუციონური პროლეტარიატის ფრონტს, რუ-

სეთის პირობებში კი წარმოადგენდა წყალს დასხმას დიდმპრობელურ მარქსისტულ წისკვილზე.

გერმანიის მემარცხენეები და, კერძოდ, რ. ლიუქსემბურგი სათანადოდ ვერ აფასებდნენ კოლონიების და ნახევრად კოლონიების მასების ნაციონალურ-გაამათავისუფლებელი მოძრაობის როლს პროლეტარიატის ბრძოლაში კაპიტალიზმის დასობისათვის. თავის ბროშურაში „სოციალ-დემოკრატიის კრიზისი“, რომელიც იმის დროს გამოვიდა, რ. ლიუქსემბურგი უარყოფდა ნაციონალური ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში. ლენინი კი ამ შეცდომის მხილველს მიზნით სწერდა:

„არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელია ნაციონალური ომები კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების მხრივ... ყოველგვარი ომი ათას კოლონიკურ გაყოფილებას სხვა საშუალებებით. კოლონიების ნაციონალურ - განმათავისუფლებელი პოლიტიკის გაგრილება აუცილებლობით იქნება ნაციონალური ომები მათის მხრივ იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ (ხაზი ლენინისა).

„სასამხედრო დაცვის“ საკითხში არა მკაფიო ფორმულირებებმა და არასწორი ტაქტიკის დასახვა მუშათა კლასის მოქმედებისათვის საბაბი მთავი პლენაროვსა და სხვა სოციალ-პარტიოების აქტუელთა განგაში ლიუქსემბურგის (იგივე იუნინის) „ობორონცობის“ შესახებ.

რ. ლიუქსემბურგი ომამდე და ომის წლებში „სავაგებით ვერ განთავისუფლდა გერმანელ, თვით მემარცხენე ს.დ. „წრისაგან“, რომელთაც ეშინათ განხეთქილების, ეშინათ რევოლუციონური ომისუფლებების ბოლომდე გამოტეხა“ (ლენინი).

1918 წ. ციხეში ლიუქსემბურგმა დასწერა ბროშურა, რომელშიც კიბავდა რუსეთის ბოლშევიკებს აგრარულ და ნაციონალურ პოლიტიკისათვის, დაძფუფასებელი კრების გარეკვისათვის და სხვ. ეს ბროშურა ხელზე დაიხვიეს - საბჭოთა სახელმწიფოს ყველა მტრებმა. ციხედან გამოავლინეს შემდეგ რ. ლიუქსემბურგმა გამოასწორა ეს შეცდომა იმით, რომ დადგა პროლეტარული დროშის ქვეშ, იბრძოდა საბჭოთა გერმანიისთვის.

აი, ამ შეცდომების გამო ლენინს და რუს ბოლშევიკ-ლენინელებს არ შეეძლოთ ბოლომდე და გადაჭრით დაეჭირათ მხარი გერმანელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისა და კერძოდ როზა ლიუქსემბურგისათვის. მაგრამ რენეგატები—მუშათა კლასის მოლაღატები—ბრანდლერიანელები და ტროცკისტები ვერ შესძლებდნენ რ. ლიუქსემბურგის შეცდომების ხელზე დახვევით კ. ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსემბურგის წართმევას კომუნისმისათვის მებრძოდ მუშათა კლასისათვის, თუ გინდ მართლ იმითომ, რომ დღეს ისინი (ბრანდლერიანელები და ტროცკისტები) არიან კ. ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსემბურგის ვერაგული მკვლელთა ორგანიზატორთა—შეიღებანი-ნოსკების ხელისშემწყობნი და მოკავშირეები.

გერმანიის კომპარტია იზრდებოდა და მტკიცდებოდა სოც.დემოკრატიული ტრადიციების ნაშთების და კერძოდ ლიუქსემბურგიანულ შემცდარ შეცდომებებს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამს. სტალინის წერილის შემდეგ გერმანიის კომპარტია კიდევ უფრო დაწვინდა ბრძოლას და ამით უზრუნველყოფს იმ საქმის წარმოებას, რომელსაც თავისი სიცოცხლე შესწირა ამ ორმა დიდმა რევოლუციონერმა, — უზრუნველყოფს გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვებას.

მ. რ—მ.

*) იხ. „პრავდა“ № 15, ს. 108.

(არხენას რაზმმა თრიალეთში ბრძოლა მოიხადა. შემდეგ იგი ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი არხენას მეთაურობით ახალციხეს გადავიდა, მეორე კი მისი მამის ღვთისმკობის წინაშე დლოლობით ახალდაბის ტყეში ავიდა, ჭაბუკი ზურა მძიმედ იყო დაჭრილი და ბრძოლის ველზე დარჩა. მისი მეგობარი არხენას უნცროსი ძმა ერეკლეც დარჩა, ზურა გადაარჩინა და მერე იხინიც ახალდაბაში ჩავიდნენ)

საქონეშვილი
მელონიძე

მეორე დილიდან ზურა და ერეკლეც შეუდგნენ მუშაობას. ხან ხის მოჭრაში შეელოდნენ მძინაფიცებს, ხან ვეება ძელები გადმოჭრნენ და ხარ-კამჩით და ზოგჯერ მტკვარშიც ქუუბალობდნენ და ტივების შეკვრაში ეხმარებოდნენ.

გივიტაშვილმა ორი ტივი შეჭრა, ქალაქისაკენ მოუსვა და ღვთისმკობი თან გაიყოლა. მესამე ტივი მეტივის შვილის თაოსნობით ერთ კვირაში უნდა შეემზადებინათ, მაგრამ ხელმძღვანელი ავად გახდა და მისი საქმე სიმონამ იკისრა, რომელიც ამ საქმის ოსტატად ითვლებოდა.

ითვლებოდა, მაგრამ მხოლოდ ტყეში მუშაობდა და მტკვრის ნაპირზე სულ აღარ გადიოდა, რადგან იმ-სეობელი იყო და ემინოდა: მიცნობენ, სუშბათაშვილს მოახსენებენ, დამიჭერენ და ერთხელ კიდევ გაწყვიტავენ. ბოლოს მაინც ვაპბედა: იქვე ტყეში დავიშალე, ორთაყვირებს დავთვალ, ზოგჯერ ტივს ხუთიოდე წუთით დავხედავ, ვასწავლი და ისევ დავიშალე. წავედი და კარპიჩა, ზურა, მემთა და ე-კლეც გაიყოლა.

პირველი დღე მშვიდობით დაღამდა. მეორეც თავდებოდა. სიმონა ტყეში ორთაყვირის სილიდა. უცებ უჭიდან რამდენიმე კაცი მიადგა. თოფები თითქმის ზედ სიმონაზე ჰქონდათ მიხვენილი. მოურავს ნემსაძეს დამაზა უჭირა. — ხმა, კონტი, თორემ გაგათაყვი! — დაბლა ხმით გაათრთხილა მოურავმა და ყმებს ანიშნა.

ერთი წუთის შემდეგ შებოჭილი სიმონა მიწაზე ეგდო. პირი ხანით ჰქონდა გატუნილი. ნემსაძე ყმებს გაუძღვა და ორიოდე წუთის შემდეგ მტკვარზე მკაცრი შეძახილი, თოფის ქუხილი, ხრიალი და უშვერი რუსულ-ოსურ-ქართული გინება გაისმა. შემდეგ ტყეში სამი ხელფენ - შეკრული და პირდაცობილი კაცი შემოიტანეს და სიმონას გვერდით მიუყარეს. თვითონაც აქა-იქ ჩამოსხდნენ და ტყეები მასხარად აივდეს.

— სიმონავ, ხვალ გოგისა ციხეს გაჩვენებ და დედა-შენსაც გავახარებ — უთხრა ნემსაძემ.

— ჰიმმავუ — დივიშნა სიმონამ.
— ჰიმავუ შენა და ნაცარი ცხელი! გვეტყვი თუ არა, ვე სამი კაცი ვიდა არის?
— ის ერთი რომ გაქცა, ოსი უნდა იყოს, — სთქვა ერთმა ყმა, — რადგან ოსურად ილანდებოდა. ეს კოჭლი ალბათ რუსი იქნება, რადგან რუსულად იგინებოდა, ეს ორი კი ქართველი უნდა იყოს.

— ფასიც მაგათ აქეთ. ახალციხელ თათრებს ჭაბუკები უყვართ. — ჩაიცნა მეორემ და ტყეში ნეჭრული ხარხარი და ბრიყული ლაზღანდარობა გაისმა.

ერეკლემ მიხედ-მოიხედა, თორმეტი შეიარაღებული დასთავალა და მათ შორის ის მეტივეც იცნო, რომელსაც მან ორი კვირის წინათ გივიტაშვილის გზა-ყვანი გამოჰქონა.

— მიცანი, განა! — შემოუტია მეტივემ. — აკი მაშინვე გითხარით, არხენას ბიჭები იქნებოთ მეთქი. ეხლა ახალციხეში წადით და არხენაც მომიკითხეთ.

ერეკლემ თავი ჩაუქნია: გიცანო, მაგრამ მის თვალბეჭეში და თავის-ქნევაში სხვარამეც ეწერა: დედას გიტყვი! მეორე წამომალნენ. ტყეებს ფეხებზე გაუხსნეს, ერთმანეთს გადააბეს, საბულები ხელში დანიჭეს და ნადავლი წინ გაიჭრეს. შემდეგ

ბორნით გაიყვანეს გაღმა და ბნელ გომურში შერეკეს. ზურამ და ერეკლემ თავები ვით დავსუნეს ბოსელი, მაგრამ ხვრულას ხიშანიც კი ვერ აღმოაჩინეს.

მაღე ჭრაქი შემოიტანეს და გომურში სუშბათაშვილიც შემოხაჯდა.

— შვილო სიმონ, როგორა ხარ? — დაცინით ჰკითხა ბატონმა თავის ყმას და თავზე ხელიც კი გადაუსვა, — დიდი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს.

მამა — ჩემო, — დაცინითვე მიუგო „შვილმა“. — ორი თვეც არ იქნება რაც მე და არხენამ ქვეშეთში გნახეთ და...

და აღარ დაასრულა, რადგან უღელში შებთული ბატონი უსიტყვოდც გამოცოცხლდა. *)

— მშინ ძე მათამაშეთ, ეხლა კი შენ ითამაშე! — მიაძახა გავემებულმა „მამამ“ და „შვილის“ თავპირზე მათრახი შეათამაშა. ხელშეკრული სიმონაც თამაშობდა: ცეკვავდა, ხტოდა ივრინებოდა, დარბოდა, მაგრამ მათრახს წვერი ბუხანკალივით მისდევდა და ცხარე შანივით ჰტბენდა. ბოლოს მოურავმა ჩასჭურხულა ბატონს:

— ეყოფა, თორემ ვეღარ ივლის. სუშბათაშვიც შესდგა. სულს ძლივსა იბრუნებდა.

— ეხლა წადი და შენი ვაჟკაცობა სტამბოლში დაიკვებე. — ამოიხრიალა მახ და გავიდა.

მაღე ოთხივე ტყვე გამოიყვანეს და იმ ავბედს ლომთა-თავის ქედს შეუყენეს, რომელსაც ორ უკანასკნელ საუკუნეში ახალციხისკენ მიმავალი აშგვარი მგზავნი ათსობით ენახა, აქეთ მომავალი კი — არც ერთი. წინ მეტად ძნელი აღმართი ედოთ. გზა ღრმა ხევეებით, ბნელი ტყით და შავი კლდით იყო დასერილი. მთავარ ხშირად ისაღებოდა.

ტყეები მალი-მალ ისვენებდნენ და ადგომის აღარ აპირებდნენ. ენმსაძე კონდახებით აყენებდა. ერთ ალაგს ხევიჩა ჩაგორდნენ, მაგრამ თოვის წყალობით ჯავებში გაიხლართნენ და გზა ვეღარ გაიგნეს. ასასებმა მათრახებით ათიყვანეს, თავპირი აუტყურეს და ისევ გაიჭრეს. შემდეგ ტყეში შევიდნენ და კარგა ხანს იობიხეს, მაგრამ ისევ ჯავებში გაიხრინენ და დაბეჭილები და სისხლით მოსერილნი, ისევ გზა გაახარდეს. მეორე დღეს გოგისა ციხეს მიაღწენ. მარცხნივ ქვეით ღრმა ხევიჩა ბორჯობი იწვა, მის თავზე ბაკურაისის მთიანეთი აღმართულიყო, მარჯვნივ ვახანის ქედი და ქვაბები მოსჩინდა, ახალდაბა კი უკან საღვლე დარჩენილიყო და ბატიმრებს მისი ნახვის იმედი უკვე დაკარგული ჰქონდათ. გაქცეული მემთა ალბათ მათეს ამავე მიიტყავდა. შელანო ეხლა ცხარე ცრემლით უნდა ტრობდეს. ლაკაბიმე და სხვებიც ალბათ მგლებივით მოსდევნენ, მაგრამ დივიციანეს: ავა ცრემლით და სისხლით შედღუდებული გოგისა ციხეც. ავა გალგანშიც შევიდნენ. ტყეები ბნელ კომქში შეაყვანეს და კარი გადაურახეს. ეს ციხე არც რუსის ხელშეწყობისა და არც ხონთქარის, იგი ოდესღაც გოგისა ავალივითა ააშენა, მაგრამ ვერ მოუხარეს და დაჰკარგეს. დაკარგული ციხე კი უხეირო მეციხოვნეთა საპატრიოლად გადაიქცევა ხოლმე. ეხლა ეს უპა-

*) სუშბათაშვილი ყმებს უღელში ამაშდა. არხენა მიუღწევდა და ბატონი და მისი მოურავი ნემსაძეც საქვეყნო შაჰა აყოლინა.

ტრონო მონასტერი ეშმაკებმა დაიჩემეს და ტყეების ბაზრად გადააქციეს.

„თორმეტი წლის წინათ ალბათ მამა-ჩემიც ამ კომქში იწვდა“. — გაიფიქრა ზურამ და ცრემლი მოიწმინდა, თანაც გაეზარდა, რომ კომქში იმე ბნელადა როგორც საფლავში, თორემ ახალგაზრდა ვაჟკაცი შერეკენას ვერ გადაურჩებოდა. მეორე ტყეები ეხოში გაიყვანეს და დაასიძელეს. ოსმალები ისე გულმოდგინედ სინჯავდნენ მათ, როგორც ოს-ცხენებს. შემდეგ ისევ ჩააცმენინეს და ვაჭრობას შეუდგნენ. ყველაზე იფად გონჯი კარპიჩა შეაფასეს, შემდეგ სიმონა მოჰყვა, ერეკლე და ზურა კი თანბრად დავასან. ვაჭრობა ძლივს გაათავეს. ოსმალებმა ოთხივე იყიდეს, ხელახლა შეჭრეს და ახალციხისაკენ გაიჭრეს. ტყეებმა ერთხელ კიდევ სცადეს ბერი და ღრმა ხევიჩა ჩაგორდნენ, მაგრამ ერთ ვაშვერილ ტოტზე ხურჯიხივით ჩამოეკიდნენ და კისლამ გაიგულდნენ. ოსმალებმა ძლივს ჩამოხსნეს და არა სცემეს, რადგან ძვირად დამჯდარი გურჯები ისედაც დაბეჭვილ - მიხბეილოები იყვნენ და მათი განკურნება დასატებით ხარჯს მოითხოვდა.

ლაკაბიმე, ლაქარა და მემთა ლოდებივით ჩამოგორდნენ მტკვრისკენ, მაგრამ გვიანდა იყო. მათი ოთხი ძმადნაფიცი უკვე გაღმა გაეყვანათ და იმ ღამეს აღარც ბორანი გამოსულა გათოლა. დილაშდე მოიცადეს და როცა ბორანი გამოვიდა, მეგობრე ხანჯლის წვერით აალაპარაკეს და როცა გაიგეს, რომ ტყეები უკვე საღვრს უნდა ყოფილიყვნენ გადაცილებულნი და ვერას-გზით ვეღარ დაეწოდებნენ, მეთორხე ადღებულ წყალში გადააგდეს და თათბირს შეუდგნენ. მეგობრებ მტკვარი იხვივით გასცურა და მთელი სოფელი წამომალა. ეხლა თვითონ მდევარიც ჩაგრა და ხიფათში გადაღელები მათ ლახდვას და მუჭარას უთვლიდნენ. რამდენიმე მოცურავემ ტანთ გაიხადა. აქეთა ნაპირიდან ლაკაბიმე ორთხით აძღვედა პასუსს, მეორე უკებ ბორის ჭაპახს ეცა და ხანჯალით ჩასჭრა იგი. ბორანი ნელ-ნელა დაიძრა, მეორე მოუჭარა, შუა წყალში გავიდა, მოსახვევში გაქანებული დეჯახა კლდეს და ჩალურთვით დაიშალა. შავწყურას გაღმელებმა რამდენჯერმე ესროლეს თოვი. მან ბუნქებს შეაფარა თავი, მოცურავებს თვითონაც სროლა აუტეხა და უკანვე გაბარუნა.

ხალხი გამოღმაც ცხოვრობდა და ბორნის დაღუპვას არც ესენი მოიწონებდნენ, ამიტომ შეფიცულებმა მალე თავს უშველეს და ახალხარო ხერხი იღონეს. ლაკაბიმე ერთ დედაბერს ორი წერილი დააწერინა. ღვთისმკობის სწერდა: ჩქარა ტყეების დასახსენლად ფული მომაშველო, არხენას კი აფროხიხებდა: მოტაცებულნი მოძიქსე და თუ ვერ გამოისყიდო, მოაყვინენ და ფულს ოროდევ კვირაში მოგაშველებო. არხენასამე მინაწერი წერილი ვილაც ლომეს ჩარჩს გაატანა, რომელიც იმ მგზავრობის დროს თავის წვერილმანთან ერთად აწყურნი დაკარგულიყო, მეორე წერილი კი მემთამ ჩაიღო უბეში. ტივით გავიქანა ქალაქისაკენ და ღვთისმკობის ლობიანას სახლში იმოგა. ცალთვალა მაშინვე შირაქისაკენ გაექანა და ფარსადანის ბინას მიაღდა. შემოდგომის ან გაზაფხულის პირი რომ ყოფილიყო, ღვთისმკობი ჯავახეთიდან მომავალ სარქალს თავის ალგეთზე დაუხვედ-



ბოდა და ბატყანსავით ჩაიგდებდა ხელში, ეხლა კი თვითონ მიაღდა მგლის ბუნავს და თვითონვე გადაიქცა ბატყად. ქაზიყელი სარქალი თრიალეთზე მატყლივით ლბებოდა ხოლმე, შირაქში კი თავის კომბალივით გახებრებდა. მეცხვარემ ღვთისავარს გამარჯვებაც ძლივს აკადრა და დიდხანს ხმას არ იღებდა. მერე უყებ აქვითინდა და სლოკუნით უთხრა, რომ მას დიდი თბედურება დაატყდა. ამას წინათ შირაქს ლეკებმა შემოუტყეს და უმარავი ცხვარი და ოკოლოდ ქალღვთის მოიტაცეს. მათ შორის ფარსადანის თოთხმეტი წლის ვაჟი და ათი წლის ქალიშვილი მოჰყვა. მდეგარმა ცხვარი დააურევინა, გატაცებულ ხალხს კი ველარ უშველა. ამბობდნენ, ლეკებმა ტყვეები თათრებს გადასცეს. მას აქეთ ფარსადანი მკვდარია. შვილებს ეძებს და ველარ უპოვია. ღვთისავარმა იგრძნო, რომ ძალიან უდროოდ მოვიდა.

— მეც შენს დღეში ვარ, ნათლიამ. — უპასუხა ცალთვალამ და თავის უბედურება უამბო. ფარსადანი მოიბა და ანგარიშის გასწორებას შეუდგა. მან ათივე თითი მოიშველია და ჩამოთვალა: თურმე ღვთისავარის წილის შესამუსურად ყველას პირი შეეკრა: ბოროთს, მგელს, ქურდსაც, ზრამსაც, ჭირსაც და დარსაც, ზეცასაც და მიწასაც, ღმერთსაც და ეშმაკსაც.

— ნათლიამ, მე მაგისთვის არა მცალიან. — მოუჭრა ცალთვალამ — თუ იძლევი, მომეცი, თუ არა და ან მე თვითონ დაგიხვდები ალაგეთზე, ან არა და ისევ არსენას გამოგიგზავნი. ქიზიყელისათვის თრივე ღვთის რისხე იყო — ალაგეთიც და არსენაც. მაინც ივაქრა, იწუწუნა და თავის ნახევარიც ძლივს გაიმეტა. „უცვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგია“, — გათიქრა ცალთვალამ და იმავ დღეს ორასი ცხვარი გამოირეკა. ქალაქში, რომ ჩამოვიდა, ლობიანამ შუბლი გაუხსნა და გულიდან მაჯლაჯუნა მოჰკლიჯა: ლაცაბიძე იწერებოდა, არსენას ტყვეები დაუხსნია და ყველანი მოკითხვას გითვლიანო. ცალთვალამ ცალი თვალიდან ცალი კურცხალი ჩამოუშვა, ნავაქრი მემთას გაატანა და თვითონ კი მარაბდის ნათელავგზას დაადგა, რადგან სხვის სასახლეს ისევ თავის შეეკამბული ნახუღარი ერჩივნა და ჰსურდა ისევ შიგ ჩასახლებულიყო. გლეხნი რომ დახებრდებოდა, მისი დაქვრივებული მუნჯი მიწაც სწორედ მაშინ აყაყანდებდა და მანამდე არ გაჩუმდებოდა, სანამ ისევ პატრონის ოფლით არ გაძდებოდა.

შუამავლად ღვთისავარმა შალვა ბარათაშვილი აირჩია. პასუსს მოუთმენლად ელოდებოდა. ვინ იცის, იკოდნენ თუ არა ბატონებმა, რომ იმ სისხლიან ღამეს მამაც თავის არსენასთან იყო და უნცროსი შეილოც თანა ჰყავდა? თუ იკოდნენ, ღვთისავარიც არსენასავით გადაიკარგებოდა და მისი მიწაც სამუდამოდ დაქვრივდებოდა. ველარ შეისმენდა მაშინ ჭალარა მდღროზე მარაბდას ყამირების გლოვას და ველარ დააურებდა მას თავის ცხელი ოფლით და უდრეოდ მარჯვენით. ის ნალამევი ბევრმა ალაგეთელმა გლეხმა იცოდა, ცალთვალამ კი ისიც იცოდა, რომ ნაჩუმარი საქმე აღრე თუ გვიან საღამო წყალივით გამოყოფავდა და ან მელისავით მიეპარებოდა, ან ბრძმა კამჩივით დაუხვდებოდა საღამე. მაგრამ მისი სიფრთხილე ნაადრევი გამოდგა: ის გლეხებიც დამუნჯებულნი იყვნენ და ბატონიც მოდრეკალიყო. ამიტომ მან ქალაქში დაბრუნების შემდეგ თამამად შეალაჯა ზაალის სახლში.

— გამარჯვება ღვთისავარ! — მიეგება განარჯული ბატონი.
— გამარჯვება და დღევრძელობა, ბატონო!
— ვეუო, ასეთი უბედურება გაგონილა? სადა ხარო? სად გამეტყუით? შემოდი, ჩე-

მო ღვთისავარ, შემოდი. — შინ შეიყვანა და გაიმეორა: — სად დაიფანტენით მეთქი, ვეუო?

— კეთილ ცხოვრებას ვინ გიყვამეტყევა, ბატონო? გლეხებმა თავიანთ სახლ-კარს თავი მიანებეს და ბუნავებში დასახლდნენ. ამ ზამთარს ყველას შიმშილი და სიკვდილი მოელის და მაინც არ აპირებენ დაბრუნებას.

— მერე, ვისი ბრალია, ვეუო? უთხარს სიმართლე ღვთისავარმა? არა, ჯერ არ გავეყებულა: სიმართლის მდევარი ან უნდა უძლეველი ვინმე იყოს. ან არსენასავით გაგარდნილი.

— რა ყმის საქმეა ბრალთანის ძებნა, შენი კენესამე! ხალხი კი ყველაფერს მაიორს აბრალებს — მიუფო მან და ბატონს ცალი თვალთ გადმოხედა.

— ხმა ღვთისა და ხმა ერისაო! — გაეხარდა ბატონს და თავის-ბათილებას შეუდგა. რა შუაშია ზაალი? ის მუდამ ყმების მფარველი იყო, მაგრამ მაიორი ვერ დააჯერა და ავ საქმეზე ხელი ვერ ააღებინა. არსენამაც ძალიან დააშავა. ისიც იცის ზაალმა, რომ მისი სახლ-კარი არსენას არ გადაუწვია, ამიტომ იმ ბიჭს ამიერიდან სულ ადარ ერჩის. ბატონს მისთვის ყველაფერი უპატებია, მაგრამ მთავრობა არ აპატებებს. რაკი ღვთისავარის შვილი ზაალს აღარ აწუხებს, ამიტომ არსენა აღარც მარაბდის ბატონს ესაქმება. ამუამად მას სხვა საქმე აწუხებს:

— ვეუო, თავი კაცი ხარ და გატყუული ყმები უნდა დამიბზუნო.

— არ დამიჯერებენ, შენი პირი მე — ყველას ეჩინია. აღარ გვინდობიან. ვინ იცის ვინ ვის შეეჩივნა და ვინ სად გაიდგა ფესვები. სად ვიპოვო? სადა ვლიო?

— გიცნობ ღვთისავარ, თუ მონდომე ერთიც არ დაგჩივბა უბოგნელი. ნილონის და შიშისას კი აი რის მოვასხენებ: მოდი პირობა დავდეთ და ხელწერილიც დავწეროთ.

ღვთისავარსაც ეს უნდოდა. დასდნენ და თითებზე ჩამოსთვალეს პირობები. დამწვარმა გლეხებმა უნდა სახლ-კარი აიწმინდა და ამიტომ ბატონი უფასოდ მისცემს მათ ხეტყეს.

— თანახმა ვარ. ხალხი წელში გაყვდა და სული უნდა მოითქვას. ამიტომ ბატონი სამი წლით გაატყუებს შემდეგ კულუხს და გამოსაღებს:

სასაფლაოს, გასამყელოს, საქვრავოს, საჩექმეს, საქორწილოს, პირისთავს, სანადიროს, საღორეს, საფურტყრეს, სანახიროს, სააღდგომოს და სახალწლოს.

ზაალი ჩაფიქვდა. რამდენიც ღვთისავარმა ჩამოთვალა, ბატონს იმდენი ნაოკი დააავდა შუბლზე. შოლონი იფიქრა: სჯობია წერილბანი დავუთმო და მსხვილბანი შევიწარჩუნოო და თავი ჩუქნია:

— თანახმა ვარ. ოღონდ აღდგომა დღეს თითო კომლბა თითო წითელი კვერცხი უნდა მომიტანოს, ნახევარი თითონ შეჭამოს და ნახევარი მე მომართვას.

ცალთვალამ ცალი თვალთ ჩაიფიქრა. ეს აღათი აღრევაც ყოფილა. ბატონი რომ ზაალის ყმას ზოგ რამეს აპატებდა, მაგრამ მაკვიროდ სულ მკირე რამის მიართმევდა იმის ნიშნად, რომ მისი ხარკი სამოდამოდი არ იშლობოდა. ათამედ მას საწყალ გლეხს. ბატონის წყალობა მხოლოდ დროებით ეძლეოდა.

— თანახმა გასლავარ. — მიუფო ღვთისავარმა და მსხვილომანზე გადავიდა. ეხლა კი ბატონმა და ყმამაც აუწიეს კილოსაც და მალასაც. ორიოერი ბეგარას და ლალას მოიპოინენ და ერთმანეთს აათბა ედგებოდნენ, რათა ამომობა შეჩჩენოდათ.

— სად შიმშილიან. ვეუო! დაილოებები! ვერ გაუძლიბ! — ანხლობდა ბატონი.

— დაიკილო. მოითმინო და გააძლიბ. — დინჯად და მტკიარი უჩჩივდა მიიროზე.

— ვერ მოვგარდობით ოთისავარ! წაიცი, მოშმოქრი! — რამდენიმეჯერმე შეუტია ზაალმა.

ოთისავარი რამდენჯერმე მიადგა კარებს და ბატონს კარგათ ყოთობა ოსლარია.

— ვეუო, სად მიბიხარ! — აბრაონიბია ბატონი. — რა კარგია ვინმე ყოთობხარ! მოდი ირთხელ კიდეც ვცადოთ, იქნება მოვრიდოთ.

ბატონი რომ თითო აღლს ყოთობდა, ცალთვალამ თითო მოჯასაც შირ იმიტიბდა. ბოლოს ყმამ მარა მოდრიკა ბატონი, ხილ-ხი თარხია და მოწონიით დამოწურა. დიხხანს სწორინ ჩაოწორილს და დიხხანს აწამიბინენ ერთმანეთსა და მალაოოსაც, ოთისავარს, ცალი თვლი სტარბინობში ჰქონია ჩარბობილი და ბატონს წამდაუწუმ აწყვიტინინია:

— არა, შინი ვინესა მო ივარი არ შიიძლიბო... წაშალი... გათათი... ეგ არ გიეთბო... ხიოს ვერ მოივარ.

— ვეუო, ამიჭი მიჭი აღარ შიმშილიან! სოლი წო ამომართი! — ჰიინსოთა და ჰიოთა ზაალი. — წო გათიო! სო მიბიხარ! აჰა. ამასო შინებურთი დავწერ. გაგიწყარს ჩიმი გამჩინი!

და მართლამ ისი დაწერა რაოოოოო ყმამ თარხანა. ბატონმა მარაარ გადასწირა ბეჰილი დაჰქრა, ხელი მოაწერა და ამოიხვენება:

— თოჰ, გაიწყარს ჩიმი გამჩინი, როგორც შინ დამარჯე! კაცი კი არა ჩინს ყოთობხარ, ჩინა!

ეხლა ოთისავარი საგზალს მიილიბს, ყველა ამაკიოდ ალიხს თაოვლის, ზაალს დაობრონიბს და ამ პირობაზე ყველა თავ-კაცსაც მოაწირინიბს ხელს.

— ღმერთმა მშვილობა მოგვცოს, ბატონო.

— ღმერთმა ხელი მოვიმართოს, ღვთისავარ. შენი იმედით ვარ და ვინძლო არ მომატყუო.

და როცა მდღროზემ კარი გაიხურა. ბატონმა სახე მოიბურა, ხლები გასასვსება და ბრახით წამოიძახა:

— დასწყევლოს ღმერთმა! თუ ეს პირობა მართლა შეგსაწულებ, სულ გავჩანადებნი. სად გავთინლა ასეთი აამბავი, ვეუო! ღვთისავარმა კი ახალდაბისაკენ გაუტია იმავე დღეს.

რავდენ გვეტამე

ჭიკაკოკონა

(რ მ ა ნ ი)

გამოვიდა და იყიდება
გამოცემა სახელგამის


ლოკავის გებრძოლ ლიტერატურისათვის

რამდენადაც იზრდება ომის საშემორობა სოციალიზმის მშენებელ ჩვენი ქვეყნის მიმართ, იმდენათ ძლიერია მასების ინტერესი წითელ არმიისა და ფლოტისადმი.

ამავე მიზეზით აიხსნება უსათუოდ ის მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად საბჭოთა ლიტერატურულ სინამდვილეში წითელ არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების (ლოკავის) წარმოშობისა და განვითარების სახით.

ლოკავის მოძრაობა წითელ არმიისადმი უდიდესი მზრუნველობისა და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის თავდაცვითი უნარის განმტკიცებისათვის ბრძოლის აქტიური გამოხატულებაა.

ლოკავის დანიშნულება მხატვრულ სიტყვის საშუალებით ბრძოლა მომავალი იმპერიალისტური ომის საშინაღისადმი, ომის ნამდვილი კლასიური ბუნების გამოყოფა ნებისათვის, წითელი არმიისა და ფლოტის მნიშვნელობის, ჩინიზაციისა.



მანევრებზე. — წითელარმიელები აღიან კლდეზე

ამიტომ ბუნებრივად შეუძლებელი იყო ლოკავის რიგებში არ ჩამდგარიყენ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო მებრძოლი — პროლეტარული და თანამგზავრული მწერლები. საბჭოთა ლიტერატურის ლოკავისა ცხად ჩვენი ქვეყნის დაცვისა და კლასიური სიღბისთვის მანევრებელი მოვლენაა.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ათასგვარი ბურჟუაზიულ ყურნალობისათვისა და მწერლების საშუალებით ჩვენ ქვეყანასთან ომისათვის ამზადებენ „საზოგადოებრივ აზრს“.

ბურჟუაზია მხატვრული ლიტერატურის საშუალებითაც ანთხებს საბჭოთა კავშირისადმი შხამსა და გესოს. აგრავილებს ათასგვარ პროვოკაციას, ეწევა მასების მოტყუილებას, ომზე პატრიოტულ ლაყბობას, წარსულ იმპერიალისტური ომის გამართლებას, ომის აპოლოგიას. ასეთ ლიტერატურ-

რის რიგს ეკუთვნის პაციფისტური ილიუზიებისა და უილაჯობის ისეთი მოვლენა, რომელსაც რემანიკიზმი ეწოდება, რემანიკიზმი წარსული იმპერიალისტური ომით სპეკულიაციისა და ფარისევლების ლიტერატურაა.

ბურჟუაზია ტაშს უკრავს რემანიკისტულ ლიტერატურას, რომელიც ამართლებს მის ყაჩაღურ ზრახვებს. რემანიკისტული ლიტერატურის გარდა, როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, იზრდება და ძლიერდება ანტირემანიკისტული ლიტერატურა, რომელიც კლასიურად ამჟღავნებს ომის ველურ სახეს, ნიღაბს ხდის ბურჟუაზიის მტაცებლობას.

ლოკავი ანტიიმპერიალისტური მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი მებრძოლი ფრთაა.

ომის საწინააღმდეგო და მისი მამხილებელი ის უამრავი ნიმუშები, რომელნიც ომის მონაწილე მწერლებისა და ჯარისკაცების მიერ იწერება — საუკეთესო საშუალებაა მუშათა კლასის ხელში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბურჟუაზია ასეთ ლიტერატურას „ბაყაყების „თვალსაზრისის“ ლიტერატურას უწოდებს, მაგრამ რამდენადაც ომის ქაობში ბაყაყებით თხრობებში ჩამოყვდიულ მესანგრე ჯარისკაცთა ხმა და ხიშტები არა მცირე მნიშვნელობის ძალა იყო ოქტომბრის რევოლუციისათვის, იმდენათ ასეთი ლიტერატურის ზრდა და განვითარება მასების რევოლუციონური მომზადების საქმეში უდიდეს ძალას წარმოადგენს.



მანევრებზე. — მტრის მწვერავებზე

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩანკაიშის ჯალათებმა თავი წაკვეთეს ჩინეთის რევოლუციონარულ მებრძოლი ხალხის რევოლუციონურ მწერლებს. ასეთივე საშუალებით ებრძვის ბურჟუაზია სხიდასხვი ქვეყნებში რევოლუციონურ მწერლებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დასაცავად ხმას იმადლიერენ. ამიტომ სანამ არსებობს საბჭოთა კავშირის ირგვლივ მტრული და ვაბოროტებელი კაპიტალისტური ქვეყნები, მსოფლიო ლიტერატურაში არ შეწყდება რევოლუციონური ხმა საბჭოთა კავშირის დასაცავად.

საბჭოთა კავშირი მსოფლიო პროლეტარიატის დამკვირვებელი ბრიგადაა. კაცობრიობის ახალი ისტორიის უდიდესი რევოლუციონური ჩირაღდანი. ახალი ცხოვრების — სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა, ამიტომ ის ვინც გმირულად აშენებს ამ ქვეყანას, პირველ რიგში დგება ლიტერატურაშიც. ამითაა გამოწერილი პროლეტარული ლიტერატურაში. გმირული ინტელიგენციის მატარებელი ხოთწლიის გმირების ჩინების. ლოზუნგი, „მადრიასტროსი“ ლიტერატურის მოკლეა. და სხვ. მაგრამ ის ვინც ამ გმირული მშენებლობისა და წინსვლის უთიღის დამცველ დარჯაად სდგას არ შეიძლება დაგწყებული იქნას. ასეთია სწორედ ჩვენი სახელგანთი წითელი არმია და ფლოტა.

წითელი არმია ღირსია უდიდესი ყურადღებისა. წითელი არმია და ჩვენი ქვეყანა თავდაცვის საკითხები უნდა განდგნენ სოციალისტური და საბჭოთა ლიტერატურის კარდინალური ამოცანა, ის უნდა განდგნენ ჩვენი მხატვრული ლიტერატურის და მწერალთა შემოქმედებითი გასამხედროების ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანათ.

ლოკავი მწერალთა შემოქმედებითი გასამხედროების საშუალებაა. ის ფაქტი, რომ ლოკავისა ცხად არ დარჩენილა და არ რჩება ჩვენი ქვეყნის არც ერთი კუთხე, იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყნის აქტიურად მომქმედი ლიტერატურა არ სდგას მუშათა კლასის, კლასიური ბრძოლებისა და საბრძოლო ამოცანების გარეშე. ამ ამოცანათა შორის ჩვენი ლიტერატურის საბრძოლო დანიშნულებაა წითელი არმიის, ქვეყნის თავდაცვის, ომის საკითხების გამოქვეყნება.

ის, რაც ლოკავის სახით გაკეთებულია საქართველოში, არაა სრულიად დამაკმაყოფილებელი. არ კმარა მარტო ის, რომ ჩამოყალიბდა წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანება. ან რაოდენიმე მწერალმა თავი დამკვირვებლად გამოაცხადა. საჭიროა მწერლებმა მეტი ყურადღება მიუქციონ სამხედრო თემებს, შემოქმედებით გასამხედროებას, წითელი არმიისა და ფლოტის მნიშვნელობის წარმოწევას და აღზარდონ კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებების მოცემას. წითელ არმიასთან მჭიდრო კავშირის დაქვერას, მათი მუშაობის

და ცხოვრების ნამდვილ შესწავლას. სამოქალაქო ომში მონაწილე პარტიზანებისა და წითელგვარდიელების ლიტერატურაში გამოწვივას და სამოქალაქო ომის ისტორიაზე მუშაობას.

ის იხრა თხიზოლი გაიღობა და სწორად ერკვევა იმ უდიდეს მოვლენებში, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენების სახით, ერთ წოთსაც ვერ დაუშვებს დაივიწყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ამოცანა, წითელი არმიისა და ფლოტის მნიშვნელობა, მისი მუშაობა და ბრძოლა. ამიტომ ვირვ ერთი პროლეტარული და მოკავშირე მწერალი ვერ აუვლის გვერდს, თუ ის თავის სიმბოლოზე სდგას, წითელი არმიისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებს. ეს აქტიურად მომხმედი ყოველი მწერლის აუცილებელი ვალდებულებაა.

ამ სახით ვერ კიდევ მცირე მიღწევები გვაქვს, ვერ კიდევ არაა საკმაოდ განვითარებული ლიტერატურა წითელი არმიის თემებში, მაგრამ უსათუოდ მოწინდობისა და ამ შეგანების მართლებელია თონიაც ისეთი ფაქტობი, როგორცაა გ. ტაბიძის რევოლუციონური, სახმადირო ლექსები; „რევოლუციონური საქართველო“. ყველა წითელ არმიელი იღებს როგორც „ლომა“ და სხვა.

„რაკი მტერი არ ისვენებს ჩვენი სისხლის მდომი, ყველა წითელ არმიელი იღვწის როგორც ლომი.“

ჩვენი დროშა ნიშანია არა რბევა ომის მშვიდობიან მშენებლობის, მშვიდობიან შრომის

უსათუოდ დადებითად უნდა ჩაითვალოს პროლეტარული მშრომლის გ. კაქხიძის მუშაობა, მისი მთელი რიგი სამხედრო ლექსები: „სადამირ ტილოს კარავში“, „ზანაკად გასულ არმიელთან“, „წითელი ყაზარმა“ და სხვ. წითელი არმიისადმი სიყვარულისა და კლასიური შეგნების მაჩვენებელია.

ასევე შეიძლება ითქვას ირ. აბაშიძის ლექსებზე („სამი ლექსი თიბერვალზე“ „დაეფულება ტახნიკას“ და სხ.). თუ როგორ აქვს შეგნებული პოეტს ტახნიკის დაუფლების საკითხი, ამისი მაჩვენებელია შემდეგი სტრიქონებიც:

ეს ვალად გახდა მხედარო შენზე და დაყოვნების არც გაქვს უფლება იზრქოლე შესძელ, იზრქოლე შესძელ ტეჩნიკის ციხის დასაკუთრება. რომ ჩვენმა ტანკმა, ჩვენმა რიკარდომ ფრონტიდან ფრონტზე ყუმბარა გასცეს აწიოს ლულა, შემოიბაროს საიერემოდ მტაცებელ კლასზე.

სამწუხარაა უსათუოდ რომ პროლეტარული პოეტების შემოქმედებაში მცირე ადგილი ეთმობა სამხედრო თემებს. პროლეტარულ პოეზიაში თავდაცვისა და წითელი არმიის საკითხები ერთ-ერთი მებრძოლ საკითხად უნდა გადაიქცეს.

ქვეყანა უნდა იცნობდეს სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე მძირულად მდგომ წითელ არმიასა და ფლოტს, ქვეყანა უნდა იცნობდეს წითელი არმიისა და ფლოტის გმირებს. ვინ უნდა შეასრულოს მერე ეს ამოცანა თუ არა პროლეტარულ პოეტებმა, ილოკაფის მწერლებმა. ის კი რაც გაკეთებულია ამ ხაზით, არაა საკმარისი, საჭიროა მტეი ყურადღების მიზაივა ამ საქმისადმი. საჭიროა წითელი არმიის რიგებიდან, წითელი არმიელი მწერლობის წამოწევა. ჩვენ გვაქვს ამისი საწყისებიც. ერთ საუკეთესო პოემად უნდა ჩაითვალოს მაგალითად გ. დარასელის „ბუდიონელის ლურჯა“. ამ პოემაში ეს ლოკაფელი მწერალი

იძლევა ბუდიონელი ცხენის სამოქალაქო ომებში ბრძოლების რომანტიკას.

წითელ არმიაში არა ერთი და ორი უნარიანი და ნიჭიერი პოეტებია; საჭიროა მათი აღზარდა და ლიტერატურის ასპარეზზე გამოყვანა. გარდევას ადგილი აქვს სამხედრო თემატიკის ხაზით. არა თუ მარტო პოეზიის ფრონტზე, არამედ ბელეტრისტიკაშიაც, მაშინ, როცა პოეზიაზე არა ნაკლებ შესაძლებლობას მწერლობის ეს დარგიც იძლევა. წითელი არმია ამ სფეროშიც უკიდის თავის ავტორებს. ჯერჯერობით კი აღსანიშნავია მხოლოდ ს. ერთაწმინდელის რამდენიმე მოთხრობა. („ჩაჩულა“ „შეგებული“ და სხვ.)

ამ დღეებში გამოვიდა მთავარ ხელოვნების ყურნალი „პროლეტარული ხელოვნებისათვის“ (№ 1). იქ მრავალ უნიჭო დრამატურგებზეა ლაპარაკი და არსად ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ქართული წითელი არმიის თეატრის მუშაობის შესახებ და, რაც მთავარია, ისეთ ორიგინალურ პიესის შესახებ. როგორცია პრ. უდენტის „სამი ეპოქა“. ეს მეტად შესანიშნავი პიესა სამხედრო პიესის მიერაა დაწერილი. პიესა ღირსია ჩვენს აკადემიურ თეატრებშიაც იდგმებოდეს, რაც უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ვიდრე „თეთნული“, ან და „არსენას ლექსი“.


ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს უსათუოდ ამ ლიტერატურაში ნარკვევები წითელ არმიაზე, მათ მუშაობაზე და სხვ. ჯერჯერობით ამ მხრივ არაფერია გაკეთებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დ. შენგელაიას ნარკვევს „რამდენიმე დღე მანევრებზე“. აკაკი ჭყონიას წიგნაკს „წერილები ფრონტიდან“ და სხვ. ყველაფერი ის, რაც ჩვენ აქ აღვნიშნეთ, როგორც ლოკაფის ლიტერატურის ნიმუშები, მცირე შედარებით იმ მოთხოვნილებასთან, რომელსაც აყენებს მწერლობის წინაშე ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ამოცანა, წითელი არმიისა და ფლოტის მუშაობა და მნიშვნელობა.

ალ. სულავა



წითელი არმიისა

პიტლერის ორპული



ასალგაზრდა ფაჩისტების ალღუმი როგორი მუსოლინის თანადგურებით

ნ ი თ ე ლ ი ფ რ ო ნ ჯ ი



ლუი არაგონი — არის გამორჩენილი ფრანგი მწერალი. არაგონი ითვლებოდა საფრანგეთის მეპარცენე მწერლებს შორის ერთ ბელადათ. უკანასკნელ ხანებში ლუი არაგონში მოხდა საგრძნობი გარდატეხა და თანდათან უახლოვდება პროლეტარულ მწერლობას. ამჟამად ლუი არაგონი ითვლება საერთაშორისო რევოლუციონურ მწერლობის გაერთიანების წევრათ. ეს პატარა პოემა „წითელი ფრონტი“, რომლის თარგმანსაც ებეჭდათ ჩვენ ჟურნალში საკმაოდ ახასიათებს ლუი არაგონის შემოქმედების უკანასკნელ ხანას.

1.

—ასიამოვნეთ, ცოტა ჩემ ძაღლსაც დაუხსით მასაც შამპანური!

Bien, Madame:
ჩვენ ვზივართ მაქსიმთან ათას ცხრაასის წელია ოცდაათი. ბოთლები ნოხებზეა დალაგებული, რომ არ შეწყუხდეს მათი არისტოკრატიული საჯდომი. ნოხები, ნოხები, ყველგან ნოხები, რომ არ ისმოდეს „კაცო“—ს ფეხის ბაკუნი. ხასმელებს სვამენ ლეროებოდან, ზედმეტი გაფრთხილების და თავაზიანობის პერანოვიდან ამოღებულია ეს ღერი. სიგარას იფარავს მუნდშტუკი, შენელებულია მოტარის სრიალი, მებარგოსა და ფოსტალიონისთვის უკანა კარია შემოსავალი. პაკეტებს გარს არტყამს ქაღალდის ნისლი— და ამ ნისლს კიდევ გარეთ კანი აქვს. ვინ ზოგავს ქაღალდს? ფუფასოა, ყვოლასთვის მუქთი. ღეროც უფასოა და ქაღალდის ნისლიც. შამპანურიც თითქმის მუქთია, ან და რაღაც გროში თუ ღირს. საფერფლეც რეკლამაა—სურათის ჩარჩოც, რეკლამაა ფრმების გამმა. რეკლამაა ხანათოს ალი. რეკლამაა ბოა ქალებზე. და თვითონ ეს ქალებთანაც რეკლამა არი. კბილის საწმენდი—რეკლამაა, რეკლამაა ქარი, მარაო. თუ დაიჯერებთ სანტიმიც არ ღირს. და ამ „არც სანტიმისთვის“ ცოცხალი ხალხი თქვენ მოგართმევს ჭირშიების პროსპექტს: —წაიდეთ, მუქთია!.. პროსპექტიც მუქთია და სტილი რომელიც გაწვდის. ესეც უფასოა კარის ოასორისთვის ნო შიწყუნდებით, ამისთვის არი „ბლოუნდი“. და თავის თავზე იღობს ამ შრომას. ყველაფერს ადივს სინაზის იერს: თვით კიბრებსაც უსარმასარ მალაზიებში თავდავსწყებთ ზომით რომ მივლენ. და დღე ფიტრასზე ოფრო რბილია, აღამიანი ნისლზე მჩატია სინათლე—ბამბაზია გაპენტილი. ბაზრობის არ ისმის ხრიალი ყველაფერი თავის რაგზეა. —(გრირავი ძაღლსთვის)“ ან, ჩემო კარგო, ჯერ იმის ჭირი არ დამართა. აი საათობი, პატარა საათები, ისმის ჩხარონი და ტიკ-ტაკი. რამდენ პატარაძაღლს თქვენზე ფიქრათ ძილი გაართმავა? აი საფარძელი მიფე მზე ლუის შეიძლება იყდოთ ერთი წლის შეღავათით სასაოლაოზოიარც ამ წეთის ჩვეყნის გულადი მამაკარები ისე არიან გაჭიმული რომელიც სხვათაგანზე

მარშარილოს ძეგლები. ნიშები—თითქო ბუხარია. რა ღირს წელს ქრისანტემა? აუარებელი ფული იხარჯება მიცვალებულთა ყვავილებზე. გამორჩენილ მოცეკვავე ქალზე და ხანდახან იღველებზედაც. ქველმოქმედ ქალთა შავი კაბები ზგვიან კობეებს. წარმოიდგინეთ გრაფინია კანონიერ მოწყალების საზღვარს გადაცდა!.. სულ ერთია ამ ხალხისგან აბა მადლობას ვინ ეღირსება? მაგალითს ითხოვთ? — ბოლშევიკები!.. და რუსეთი უბედური და საწყალი. —თუ რესეს, ან მათი თქმით სს.რ. —ეს-ეს? რა არის ეს ეს-ეს? ესესერია, ჩემო კარგო. წარმოიდგინეთ ესესერია. გინახავს წითელდროშობა ჩრდილოეთში? —მე ვნახე ბერგი და პარი-პლიაუ მაგრამ არ მინახავს წითელი პლიაუ-ესესერ —ესესერ, ესესერ, ესესერ!..

როდესაც ხალხი მოდრიდა გარეუბნებით რესპუბლიკის მოედანზე აჯანყებისთვის. როცა მუშტივით იყო მოღერილი დემონსტრაციების შავი ნიღვარი. ვიტრინების თვალები ფარდებს უშვებდენ რომ არ დაბრმავებულიყვნენ მომავალი კოლონათა ელვისაგან. მე მახსოვს ცხრაას ექვსის მასიო როცა შიშისაგან დაიუნება ოქროს სალონები.

მშობლები მყოლებში ბავშვებს არ უშვებდენ, ამ გარეუბანში სადაც ძლივს ამოდიოდა შორეულ რისხვებს გრივალის ტალღა მე მახსოვს თარირის დემონსტრაცია. როცა ესპანეთის საულჩოს შავი მელანის ბოთლი ესროლეს და მიადანეს შავი ყვავილი. პარიზო! გახსოვს ეს კვირებო? გახსოვს შორესულ დამარხვის პროცესია? საკოს და ვანცევის ბრბოთა ნიღვარი? პარიზო, შენი ქუჩა ბანდები ყველა ნესტოებით ათრთოლებულა. შენი ჭეიბი ათრთქებისთვის მზად არიანი შენი სეიბი ბაროკლებათ დაწოლას ელიანი მათ შიარხივ დიდი ბჭეები —ბელვილი!

—ო, ბელოვლ და შენც სან-დენო! სათაიც წითელითა ტუცეობაში სძინავთ მეფეებს. —აბა! —იგრო, ყაველ, მალაკოვ! —მოოხმეთ ყველას აქ თავის ბარგით ქაოტბო, ჩყინი უბნებისა! ბავშობო, ჩვენთვის ამბის მომტანო! კაცებო, (ჯრო კიდიო შრომით დაღლილს თვლებში, რომ გიბრწყინავთ). —ბარალს გინახავთ მალაზიებში, ავტო—ბოროტუას სახლის წინა სდვას; და როაოროკ ღორწყამის ისე მოვლუნავთ ჩვენ თარინის სეიტებს. სკამბი. კიოსკიბი. სეიბი—ცეკვედენ მოვსებთ ფარაოჩიბი! დავსოცოთ აკანებო! და ასე აღმოსავლეთისკენ აღმოსავლეთისკენ სადაც სძინავთ ბურჟუას ბავშვებს. და შორეულ წარსლის როსკოშებს!

წინ მაგდალინელის ტაძრისკენ პროლეტარიატო! შენი რისხვა დაშლის ელიზეს. წინ გადაღობე ასფალტის ველი იქნება დღე და ავაფეთქებთ ტრიუმფის არკას. ესოდე შენი ძალა პროლეტარიატო! იცან შენი ძალა და მიეც ვასაქანი! ის უცდის, როცა დღე დადგება უუურეთ მკვეთრათ. ისმინეთ გრგვინვა, რომელიც მოდის ხალხის გატენილ ციხეებიდან. ის უცდის, როცა მისი დღე მოგვა; მისი საათი, მისი წამი და მისი წუთი, როცა სასიკვდილო იქნება დაკვრა!.. და ისე სწორათ დაარტყამს ტყვია, რომ ყველა სოციალ-ფაშისტ-დოქტორები მსხვერპლთა გვამებზე დაუყუდებულნი რამდენიც უნდა სძებნონ იარა რამდენიც უნდა სინჯონ გული— ვერ მონახავენ მოსარჩენ წამალს და ხელები აჯანყებულთა პირით კედლსკენ დააყენებენ. ცეცხლი ღმერთ ბლიუმს, ცეცხლი ფროსარს, ბონკურს და დეას, ცეცხლი სოციალ-დემოკრატიის მეცნიერ ტურტებს. ცეცხლი და ცეცხლი!.. —მე ვხედავ სიკვდილის გარეშას, სიკვდილი აცხრება გარშეროს, და მე გეძახით—ცეცხლი მაგარი, რომელიც იცის კომუნისტებს პარტიამ, საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ხელი გეღოთ ჩახმახებზე რომ მე კი არ გაძახდეთ —ცეცხლი! —არამედ ღმერთი. ღმერთი, რომელმაც ცოცდა, აჯანყების საათის ამორჩევა... კლორვიოდან ისმის ხმა, რომილსაც ვერავინ ვერ გააჩუმებს, მახსოვს ხმის გაწევა, კედლის სიმღერა... რევოლუციონური სიმართლე მოდის საოაშქროთ. სალაში მარტინი, შავი ზღვის მემამბოხეს, ეს კიდევ იქნება თავისუფალი. არ შიძიობა ბრბოლის სიმბოლოს ციხეში ჩახრჩობა. არ შეიძლება არასდროს. აბა დაცხეთ! თვითონ ეს ხმაც იმის დაღადებს, რომ ხალხს ბურთის პარში ვერავინ ჩაჩრის. არ შეიძლება ხალხის დამშვიდება ჯალათის მროდე დანით. ყვითელი ძმებო. თქვენთვის არის ეს ჩვენი ფიცი თქვენი სოციალბოს ყიოოა წვეთისთვის ჩვენ ვუბასუხებთ მარქსიზმს სისხლით. გესმოდეთ მოთქმა სირიელების, რომელთაც სჯიან მესამე რესპუბლიკის ავიატორთა ყუმბარებით. გესმოდეთ ძახილი მაროკოში დახოცილთა რომელთა არც სქესი, არც ასაკი არ არი ნაჩვენები. კილოების სრქენით. ვინც ელიან სამაგიეროს გადასახოცილთ ეხლა მღერია ამ სომღერას, რომელიც აქ სტვიცნს. ეს სიმღერა—ეს ეს. სე-რე—გულს დაღავს ეს-ეს. სე-რე—აეროს ქროლვა ეს-ეს სე-რე—და ცაში სიმოწე.

ეს-ეს-სტრევა ეპოქის სუბსტრუქტი-
უქტომბრის ბრწყინვალეობა.
მოვა დრო და ყველგან იქნება
ეს-ეს-ეს-რე...
საბჭოთა რესპუბლიკების
სოციალისტური კავშირი.

3.

იფუნებიან გიპსის სტატუტები
ძველებური სახლების დაბჭობა ყვავილებ-
ში.

უქანასკნელი ხელსახოცები
უქანასკნელი განჯონები
კიდევ ანიშნებენ უცნაურ
სიცოცხლეს მუქთახორებოსას
ბურჟუაზიის ტიის
გაწყვეტილი წელი
სცდილობს გამართლებას.
ეს არის კონველსია
კლასო აგონია.
საგვარეულო ტრადიციები
იქცევენ ნამსხვრევებათ,
ფენი დაჭირეთ
გაღვივებულ გველს.
სახლი დანაშრით—დეე ჩაის კოვზები
ბაღინჯოლა და ძველმანებს თან გადაყვენ.
ის, რა ტკბილია, რა ტკბილია
ოხრა და მოთქმა,
რომელიც მოცოცავს ნანგრევებთან.
ჩემ დავესწარი ამ ქვეყნის დაწვას,
რომელსაც გაუფიდა თავისი ყავლი.
ვარ ბედნიერი, ვტკბები უზომოთ
როდესაც ვუმზერ ბურჟუაზიის
ემაფოტზე ასვლას,
ნეტა თუ ყოფილა სადმე ნადირობა
ამაზე მომხიბლავი,
ვიდრე ნადირობა იმ ჭიებზე,
რომელიც იმალებოდნენ ყველა
ქალაქებს ყველა კედლებში?
მე ვუმღერი სასტიკ უფლებას,
როდესაც ბურჟუაზიას
სჩაგრავს პროლეტარიატი.
მე ვუმღერი ბურჟუაზიის ლიკვიდაციას,
რელიუფლებას, რომელიც სპობს
ბურჟუაზიას—
ეს არის ყველაზე მომხიბლავი
ძველი მოედანზე—
ყველაზე უფრო წვილი და საოცარი
არკა, რომელიც ედარება წვიმის პრიზმას
სიცი კი არაფერია
იმ ქაოტურ გასაცარი ნანგრევებთან,
რომელსაც დინამიტი აუგებს ეკლესიას,
—ერთი სცადეთ, რა დიდებულთა!
ახე თხრიან ნიჩბით ძველ მოთმინებას,
თხრილები—სიმღერა ახალი გზების,
ხალხი და კედლები ძველ ეპოქათა
ელვის ისრებით დაცხრილულია
სროლის ხმა აძლევს პეიზაჟს
ისეთ სიხარულს,
რაც ჩვენ წინათ აღარ გვიჩანავს.
—ასე ხვრეტენ ბატონ მავნებლებს,
—სიკვდილი ყველას ვინც ოქტომბრის
გამარჯვების წინააღმდეგ იბრძვის.
სიკვდილი ხუთწლედის მავნებლებს!
თქვენ ახალგაზრდა კომუნისტებო
გაგავეთ, რაც დარჩა ძველი ნაგაფი,
ჩელიგის ყველა ობობა.
დიდ მშენებლობის, მოხალისენო!
უფ დინდობთ ძველ ქვეყანას,
თავი გაუჩქრქვეთ ცოფიან ძაღლს.
აუჯანყდით მოხუც პაპებს,
შორს თქვენგან დაშე, შავი ჭირი
ძველი ოჯახი.
თქვენ ხელში აგყავთ ჩვილი ბავში
გერ აქამდე უნახავი ყრმა.
გერ კიდევ ენა არ ამოუდგამს,
მაგრამ მან იცის მაინც სომღერა
ახალი ქვეყნის და ცხოვრებისა,
ხელიდან ხსლტება და გაიქცევა
იციინის კიდევ
ვარსკვლავი ფამილიარულათ
მიწას ეცემა.
ვარსკვლავნი დაწვით შენ ჩემობა,
რაც დარჩენილა იმისგან ღეში.
ცემენტის ყვავილები, ქვის მინაქრები,
ფოლადის პალმის ფურცელი

ვის გახსრებობდა ახეთი ვაწაფხულში
გოგანთური გამოჩნდებ ყველიანი:
—ეს არის—ბაგები, სამწოეულოებო
შნ ათასს კაცის სადილიათვის.
სახლები, სახლები—ოგორც მზის უმწირა,
კლუები—აბოვიდენ იომაჯასავით.
გზეტი იქსოვება, როგორც ყელსახვევი
და ვანებო, ოთახებს აწყდება გახთიადი.
ხარობენ მერცხალით გამოცხადდა—
სოციალისტური მისის.
ველებზე შეიქნა სასტიკი ბრძოლა
ქიააქველების და მგლებისა.
ტყვიან მფრქვეველით ვერ შეხვალ ომში
ძველ დაძაყეთულ რუტინის წიააღმდეგ.
მაგობა ხორაალის
ოთხმოცდაათი პროცენტი
კარმეურითა მარქსისტულ
ყახიდათ მოდის.
ახალი გოლიათები დეკავენ თავთავებს,
ველებს მოდებია ყაყაო—დროშებო.
სიტყვა „უმუშევარი“ აქ წამლილია
იბოივის ჩაქუჩი—ბრძოლებს ნამგალი.
ეს ჩაქუჩი და ეს ნამგალი
ეს-ეს-ესერია.
ურიაშულით ივებდა შაერი
ესესესერის.
მჭრელით თვლი ესესერეს
რევოლიუციის.
ეს არის კულაკის განდგურება
ეს-ეს-ესერე
ხვეროთა მუსიკის უნაწესი ხმა
ესე-ესე-ესერე.
ხორბალი, ფოლადი
ესე, ესე-ესე-რე,
გადაჯდამია
ჩაქუჩი ნამგალს:
ეს-ეს, ესე-რში.
საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირი.
იმათთვის, ვინც ახას არ ჩასთვლის „პოე-
ზიათ“

—ვინცა გლოვობენ პალმის საბონსა
და მთოლვარე წამბანებს
და ამარიდებენ დანისლულ შუბლებს
—იმათთვის, ვინც ყვირის:
„ძირს“—ეს მახსრობაა!“
იმათთვის, ვისაც წარხვა
ავტორს უნდა დვრია წყლიდან
ამოიყვანოს—
იმათთვის ავტორი ამ უბრალო
სიტყვებს უმატებს:

—ინტერვენცია უნდა დაწყებულიყო
რუმინეთის გაბოსვლით, რომელიც მოიმი-
წეხებდა, მგალითად, რომელიმე საზღვა-
რზე რომელიმე კონფლიქტს: ამას მოყვე-
ბოდა პოლონეთის მიერ ფორმალურად
ომის გამოცხადება და ლიბიტროფების გა-
ბოსვლა.

ინტერვენციაში უნდა მიეღოთ მონაწი-
ლეობა ვრანგელის ჯარებს, რომელნიც
გაიარდენ რუმინეთს.


ლონდონის მთოლო ენერგეტიულ კონ-
ფერენციიდან პარიზში გავლით საბჭოთა
კავშირში დაბრუნებული რამზინი, ლარი-
ჩევი—კავშირს აბამდენ „ტორგპრომოთან“
რიაბუშინსკის საშუალებით, რომელიც ლუ-
შერის მეოხებით დაკავშირებული იყო
საფრანგეთის მთავრობასთან.

„...ხელმძღვანელი როლი ინტერვენციის
ორგანიზაციის მოწყობაში ეკუთვნის საფ-
რანგეთს, რომელიც თავის გეგმებს ინტერ-
ვენციის მოსამზადებელათ ატარებდა ინგ-
ლისის მთავრობის აქტიური მონაწილეო-
ბით.

აი თქვე ძაღლებო, შეთქმულნო ძაღლებო.
როგორც მკრთალი სპირონეტა გაუძვრება
მიკროსკოპის თვალს,
პუნკარეს უნდა გახდეს უჩინარი.
ხანჯლებზე მოცეკვავთა ჯიში,
მეფის სუტენიორები—

დიდი მთავრები—მანეკენები,
კარტის სათამაშო პრიტონებში
წაგებისთვის გამზადებულნი,
რომელნიც ოცი სანტიმისთვის
ჯაშუშობენ.

გმიგრატიის ქაობის ხიდამაღლე,
პოლონეთის და რუმინეთის
ჭიაღვრეობა—ბლოკინი,
ყოველი მხრიდან გარემოცვენ
იმ ქვეყანას, სადაც შენდება
